**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

11 დეკემბერი, 2025 წელი

# ბრძანება №01-02/223

**ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ,,აღმზრდელი“**
**გარე მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების კომისიის**
**შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №98/ნ ბრძანების, გარე მობილობის მსურველების დალი არძენაძის 2025 წლის 25 ნოემბრის №1671481 და ლალი გიორგაძის 2025 წლის 04 დეკემბრის №1729941 განცხადებების, ,,ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ,,აღმზრდელი (მე-5 დონე) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანისათვის **გარე მობილობის გამოცხადების შესახებ“** ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 28 ნოემბრის №01-02/214 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანების, "ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის იაპონიაში, ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 2 დეკემბრის №01-14/679 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 08 დეკემბრის №1748790 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე **,,აღმზრდელი“** სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის (გარე მობილობის) მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული **კრედიტების აღიარების მიზნით** შეიქმნას **კომისია, შემდეგი შემადგენლობით:**

ა) **ჯილდა აბაშიძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, თავმჯდომარე;

ბ) **მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

გ) **რუსუდან ცინცაძე** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღზრდელი“ ხელმძღვანელი;

დ) **ნინო თურმანიძე** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ე) **მარინე ბეჟანიძე** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული განათლების მასწავლებელი.

2. კრედიტების აღიარების კომისიამ იმუშაოს 2025 წლის **11 დეკემბერს,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №305).
3. კრედიტების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება გარე მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს ეცნობოს **2025 წლის 12 დეკემბერს** (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №305).
4. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს გარე მობილობის მსურველისათვის ინფორმაციის მიწოდება და გარე მობილობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე სასწავლო

**და სამეცნიერო მიმართულებით,**

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ქათამაძე